# ივერია

**გაზეთი ღირს**

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთი[illegible] სასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბ[illegible] უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქ-ციას, [illegible]ში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის [illegible]პირ, თავ. გრუზინსკისეულს სახ-ლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგა-დოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბან-კის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრი-ქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 **სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი** 1877—1892


## „ივერია“

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1892 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---

ყოველ დღე მიიღება „ივერიის“ რედაქციაში შემოწირულებანი სოფლად ხოლერით დაზარალებულთა სასარგებლოდ.

---

### ოფიციალური ცნობანი ხოლერის შესახებ.

სამხედრო საავადმყოფოში 26 აგვისტოს მიიყვანეს მე-7 პოლიციის ნაწილის მცხოვრებელი ეკატერინე მანუკოვისა, რომელიც იმავე დღეს გარდაიცვალა. საავადმყოფოში ხოლერით ავად აღარავინ არის.

დროებითს მაჰმადიანთა სახოლერო ფარდულში 26 აგვისტოს დილით იყო 2 ავადმყოფი. ამ დღეს მიიყვანეს ერთი კაცი — ჯაბარ-მამადი - ოღლი (1 ნაწილიდგან).

26 აგვისტოს ხოლერით ავად გახდა და გარდაიცვალა თავისსავე სახლში ალექსი შკინინი (მე-8 ნაწ., რიყის ქუჩა, სახ. ბარადინისა. ამ სახლში ეს მეორე შემთხვევაა ხოლერით ავად გახდომისა).

## ახალი ამბავი

*** სოფლად ხოლერისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ და მასთან საბრძოლველად კიდევ მივიღეთ ქ-ნ ნატალია ნანაბაშვილისაგან 3 მან. ამ ფულისა გვქონდა 765 მან. 15 კაპ., ამითი შესდგა 768 მან. 15 კაპ.

*** ბაქოს გუბერნატორი იუწყება: 23 აგვისტოს ბაქოში გარდ. 1, ავად არის 4, სამხედრო სამკურნალოში ავად არის 7; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 3, გარდ. 5, ავად არის 11.

განჯის გუბერნატორი იუწყება: 23 აგვისტოს განჯაში ავად არავინ არ გამხდარა; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 89, მორჩა 29, გარდ. 48, ავად არის 85.

ქუთაისის გუბერნატორი იუწყება: ქუთაისში გარდ. 1, მორჩა 2, ავად არის 1; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 4, გარდ. 4, მორჩა 2, ავად არის 32.

დაღესტნის გუბერნატორი იუწყება: 23 აგვისტოს შურაში მორჩა 2, ავად არის 4; მთელს ოლქში ავად გახდა 93, გარდ. 40, მორჩა 117, ავად არის 723.

ერევნის გუბერნატორი იუწყება: 21 აგვისტოს ერევანში ავად გახდა 3, გარდ. 4, მორჩა 16, ავად არის 52; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 66, გარდ. 12, მორჩა 7, ავად არის 21.

სტავროპოლში 24 აგვისტოს ავად გახდა 12, გარდ. 5, მორჩა 4, მთელს გუბერნიაში ავად გახდა 655, გარდ. 252, მორჩა 44.

ყარსის გუბერნატორი იუწყება: ყარსში ავად გახდა 16, მორჩა 13, გარდ. 9, ავად არის 98; მთელს ოლქში, გარდა ნახიჩევანის მაზრისა, ავად გახდა 17, გარდ. 8.

ზაქათალის ოლქის უმფროსი იუწყება: მთელს ოლქში ავად გახდა 18, მორჩა 26, გარდ. 10, ავად არის 53.

*** ქალაქის მოურავმა მიიღო რა ცნობა, რომ მაჰმადიანთა ფარდულში მიიყვანეს ოთხი ხოლერიანი ავადმყოფიო, მაშინვე წავიდა მათ სანახავად. იმათში ორი გარდაიცვალა 26 აგვისტოს. ქალაქის მოურავმა მისცა 50 მან. ამ ფარდულის მკურნალს, რათა იმან დაურიგოს ფერშლებს და სასანიტარო მოსამსახურეებს. ეს ოთხი კაცი ხოლერით ავად გახდა ოლგას ქუჩაზედ ერთს ფურნეში. ამის გამო იქ წავიდა ექიმი და მთელი ნახევარი დღე მოუნდა ფურნის დეზინფექციას, აგრეთვე 50 ფუთი ფქვილი გადაჰყარეს და ფურნე დაჰკეტეს.

*** ქალაქის გამგეობაში 24 აგვისტოს იყო დანიშნული კრება ახლად დაარსებულის სამეცნიერო კომისიისა, რომელსაც უნდა ამოერჩია კომისიის თავმჯდომარე. კომისიას სურვილი ჰქონდა თავმჯდომარედ ნ. ი. ნიკოლაძე ამოერჩიათ, მაგრამ ბ-ნმა ნიკოლაძემ უარი განაცხადა, რადგანაც ხშირად მოხდება ხოლმეო, რომ ტფილისში კარგა ხნობით არა ვარო. კომისიის კრებამ ბ-ნ ნიკოლაძის მაგიერ ბ-ნი ა. ა. იოანესიანი ამოირჩია თავმჯდომარედ.

*** ტფილისში კიდევ გარდაიცვალა ხუნაგით ერთი 8 წლის ბავშვი სემიონოვის ქუჩაზედ, № 25.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა ინსპექტორმა, ბ-მა გრაჩოვმა გაჰგზავნა დეპეშა პეტერბურგს ჭ დროებით რკინის გზის მმართველობას სთხოვა: რადგანაც ხოლერამ ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ ძალიან იკლო, ამიტომ ნება მოგვეცით, თავი დავანებოთ იმ ღონისძიებათ, რომელიც აქამდე ჩვენ მიერ იყო მიღებული რკინის გზაზედაო ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად. რაც შეეხება იმ ქალაქებს, რომელნიც რკინის გზის ლიანდაგებზეა გაშენებული, იმ ქალაქებში სარკინისგზო სასანიტარო კომისია იხელმძღვანელებს მთავარ-მართებელისა და საგუბერნიო მთავრობის ბრძანებით.

*** გუშინ დაასაფლავეს განსვენებული ტფილისის ვიცე-გუბერნატორი ა. ა. ალიმოვი. დილით 9 საათზედ ტფილისის სადგურზედ შეიკრიფა საგუბერნიო დაწესებულებანი, მოხელეობა, ტფილისის გუბერნატორი თ. გ. შერვაშიძე, ქალაქის მოურავი თ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკი, წევრი მთავარ-მმართებლის საბჭოსი ტაინი სოვეტნიკი პრიბილი და თანამოსამსახურენი განსვენებულისა. მცირე პანაშვიდს შემდეგ ცხედარი დაასვენეს ამფოანზედ და პროცესია გაემგზავრა მიხეილის ქუჩაზედ. ხალხი მრავალი მისდევდა პროცესიას. ცხედარი მიასვენეს 10 საათზედ ქაშუეთის ეკკლესიაში, სადაც გადახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი. წირვის დროს მობძანდა მთავარ-მმართებლის თანაშემწე გრაფი ტატიშჩევი, თავმჯდომარე ტფილისის ოლქის სასამართლოსი ბიკოვი და სხვა წარჩინებულნი მოხელენი. წირვასა და პანაშვიდს შემდეგ გვამი მიასვენეს ამაღლების ეკკლესიაზედ, სადაც მიაბარეს დედამიწას.

*** ჩვენ მივიღეთ სამკურნალო კრებული № 53, რომელსაც ჰბეჭდავს კავკასიის საიმპერატორო, სამკურნალო საზოგადოება („Медицинскій сборникъ“). კრებული 132 გვერდს შეიცავს და შიგ მოქცეულია შემდეგი წერილები; „სუხუმის ჰავა“ (კლიმატიური და სასანიტარო პირობანი), ა. გ. როზმაინსკისა; „ანგარიში ტფილისის სამხედრო საავადმყოფოს სადოსტაქრო განყოფილებისა 1890 წ.“, ს. ფ. გრენკოვისა; „ანგარიში პიატიგორსკის საავადმყოფოს სახადიანთა განყოფილებისა 1886—90 წწ.“, პ. კ. კადკინისა; „ახალქალაქის მაზრა“ (ანტროპოლიგიური წერილი), ი. ი. პანტიუხოვისა. დამატებანში ამოკრეფილია ცნობები კავკასიის სამხედრო სამკურნალო ლაბორატორიის ანგარიშიდგან.

*** ბათუმი: ჩვენში ერთი რომანის მსგავსი ამბავი მოხდა. აქაურმა პოლიციელმა, შორაპნის მაზრის მცხოვრებელმა ი. უ—ძემ ამ რამდენისამე თთვის წინად შეიყვარა ერთი ქარაფშუტა რუსის ქალი და იმის გულისათვის თავისს ცოლსა და წვრილშვილს თავი დაანება. ამ 24 აგვისტომდე მშვიდობიანად სცხოვრობდნენ ახლად შეყვარებულნი, მაგრამ ამ დღეს-კი სულ სხვა გვარად დატრიალდა საქმე. საღამოს 8 საათზედ უ—ძე მივიდა თავისს სატრფოსთან, მაგრამ სატრფომ მისი სახლში შეშვება არ ინება, რადგან უკვე სხვა მიჯნური გაეჩინა. უ—ძემ იძრო რევოლვერი, მუცელში დასცა ქალს და მსუბუქად დასჭრა. თითონ ნელის ნაბიჯით გაუდგა გზას, მაგრამ თხუთმეტს წამს შემდეგ ისევ დაბრუნდა და ქალის ამბავი იკითხა. უპასუხეს, რომ ქალი გარდაიცვალაო. გაიგო თუ არა, სატრფო მომკვდომიაო, იძრო რევოლვერი, დაიკრა გულში და იქავე სული განუტევა.

*** სოფ. თეკლათი (სენაკის მაზრა): არ იქმნა და არა, ვერ მოისპო ჩვენში ქურდობა. ეს ორი თუ სამი თთვეა, რაც ჩვენს საზოგადოებაში არავითარი ავ-კაცობა არა მომხდარა-რა და კიდეც არხეინად გვეძინა. ვფიქრობდით, ეს-ეს არის, ახლა-კი ღმერთმა მოგვხედაო. ხოლო ამ თთვის 18 კვლავ დაიწყეს ქურდობა და ამ სოფლის მღვდელს გ. გ—ას ერთი კარგი ცხენი მოჰპარეს. მღვდელმა მეორე დღეს ადგილობრივ

---

## ფელეტონი

### ღლიურის ვარმის შესახებ

ხოლერა მთელს ქართლს მოედო, დაიკავშირა უმეცრება ხალხისა, გაძლიერდა და ჟლეტს მას უწყალოდ. სიკვდილს კიდევ უფრო აზშირებს საშინელი შიში, რომელმაც ხალხი შეიპყრო, დააწიოკა, დააფორიაქა, დავთრები მთლად დაუკარგა.

და ან როგორ არ უნდა შეეშინდეს ხალხსა, როდესაც მტერი მისთვის უცნაურია და არც თავი გაეგება მისი, არც ბოლო. ძნელი არ იყო ხალხში თავის დროზედ მოგვეფინა ცოდნა მის შესახებ, თუ რა არის ხოლერა, რა უწყობს მას ხელსა, რა აძლიერებს, რა ასუსტებს და სპობს; მაგრამ ამისათვის თავი არ შეიწუხეს მათ ამ საშინელის განსაცდელის დროსა, ვისიც წმიდა მოვალეობას შეადგენდა. თუ ვინმემ სთქვა რამე, მიმართა ქალაქებსა და მოგვაგონა ღრუბელი, რომელიც გვალვის დროს აწვიმებს ზღვაზედ და ცეცხლ-მოკიდებულს ხმელეთს-კი უნამოდა სტოვებს. ახლაც გულს ხელ-დაკრეფილნი შევყურებთ ხალხის გამოუთქმელს ტანჯვასა და სრული იმედი დაგვიმყარებია შემოდგომის მოახლოვებაზედ. ღმერთმა ჰქნას, რომ ეს ჩვენი იმედი აცხადდეს, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ცივს ქვეყნებშიაც-კი დეკემბრამდისა სძლებს ხოლერა, თუმცა სექტემბრიდგან თანდათან სუსტდება. ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ 1852 წლის ხოლერამ ჩრდილოელი ზამთარი აიტანა რუსეთსა და ფინლიანდიაში და შემდეგ წელში ხელ-მეორედ მოედო ამ ქვეყნებსა, თუმცა-კი ნაკლები ძალით და ზარალით. მსურს ორიოდე სიტყვა ვსთქვა ახლანდელი უცნაურის მტრის შესახებ იმ იმედით, რომ იქმნება კვერი, გამომცხვარი მეწაღისაგან,—ერთი რუსული ანდაზის წინაალმდეგ,—გამოდგეს შემრგო და სასარგებლო ჩვენი ტანჯულის ერისათვის.

თავდაპირველად უნდა აღვნიშნოთ, რომ წრევანდელი ხოლერა თავი ხოლერა არ არის. დიდს ხოლერობას ასს ავადმყოფში ათიც ძლივსა რჩებოდა, ოთხმოც-და-ათი მიუცილებლად კვდებოდა. 1830 წელს ტფილისში ხოლერა გაჩნდა 15 აგვისტოს და სექტემბრამდე—ორის კვირის განმავლობაში—ათი-ათასი მცხოვრები თურმე მოჰკლა. ამისი მეათედი ნავნევი არ უქმნია წლევანდელს ხოლერას თვით ბაქოსა და ასტრახანში, სადაც ბინძურობამ და უთაურობამ ძლიერ გააცხოველა ეს სენი. წლეულს ორს ავადმყოფში ერთი მაინც და მაინცა რჩება. წლევანდელ ხოლერასთან ბრძოლა ძალიანაც შეიძლება; მაგრამ სად არის ეს ბრძოლა? უმეცარს ხალხს თავს ზარი დაეცა, გარბის სოფლებიდგან მთასა და ტყეში, ანებებს თავს ქჳნახულს, ხელს იღებს წლის მოსავალზედ, ისპობს სიცოცხლის სახსარსა. აი ეს შიში, ეს დაფრთხობა ბევრით მომეტებულს ზარალს მისცემს ჩვენს ხალხსა, ვიდრე თვითონ ხოლერა. სიკვდილით ხოლერამ იქნება ბევრით ვერ აჯობოს იმ წუწკს ინფლუენციას, რომელიც შარშან და შარშან წინ დაძვრებოდა ჩვენში და შეიქმნა წინამორბედი ეხლანდელის სენისა, მაგრამ დოვლათს-კი ხელიდგან გამოაცლის და დავთრებს ისე დაუკარგავს, რომ რავდენსამე წელს თავისს კალაპოტში იგი ვეღარ ჩავარდება...

საზოგადოდ, ამ საშინელმა განსაცდელის დღემ აშკარად ჰქმნა საშინელი კოტრობა ჩვენის დაწინაურებულის საზოგადოებისა მხნეობის, ცოდნის და უნარის მხრივ, და ეს სენი ათჯერ ხოლერაზედ სავალალო და მომაკვდინებელია. უკანასკნელს სენს მოკლე ხნის სიცოცხლე აქვს, დღეს ხვალ თავიდგან მოგვშორდება და პირველი-კი ჩვენთან დარჩება და სამუდამოდ მიწასთან გაგვასწორებს, თუ მას წამალი არ აღმოვუჩინეთ...

რა არის ხოლერა? კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობა, როგორც

პოლიციას მიჰმართა, რომ შემწეობა მიეცა. პოლიციამაც ყოველივე ღონისძიება იხმარა, მაგრამ ვერაფერს გახდა. იმავე ღამეს იმავე სოფლის მცხოვრებს ბ-ნს თ—საც ეწვივნენ და ამასაც კიდევ მოჰპარეს ერთი კარგი ცხენი, მთიდგან ჩამოყვანილი. ესეც გულ-მოდგინედ შეუდგა დაკარგულის აღმოჩენას, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერარსად აღმოუჩენია. ხოლერის გაჩენამ ჩვენც დიდს საფიქრებელში ჩაგვაგდო, რადგანაც ჩვენი სოფელი ადგილ-მდებარეობით ჭაობიანია და ხოლერა უფრო ჭაობიანს ადგილებში ვრცელდება. მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, ჯერ-ჯერობით ჩვენში მშვიდობიანობაა. წარმოიდგინეთ, როდესაც ზაფხულობით ციებ-ცხელება და სხვ-და-სხვა გადამდები სენი თავს არ გვანებებდა, წელს არც ერთსა ვხედავთ და არც მეორეს... მდინარე ცივის ხიდი, რომელიც აქამდის გაფუჭებული იყო, უკვე დაამთავრეს და უშიშრად გადიან მგზავრნი...

⁂ სიღნაღიდგან გვწერენ: 19 აგვისტოს აქ აღმოჩნდა ჩუდყვავილიანი ავადმყოფი. ამ სენს ჯერ არავინ უმსხვერპლია. სოფელ ველისციხეში ავად გახდა ყვავილით ერთი ბავშვი.

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზის სახოლერო ყველა ფარდულში 24—26 აგვისტოს არც ერთი ავადმყოფი არ მიუყვანიათ.

⁂ სოფ. ნოქალაქევი (სენაკის მაზრა): აქაურს აბანოს წელს ბედმა გაუღიმა. იმდენი ხალხი მოაწყდა, რომ ტევა არ არის და ერთი ალიაქოთია. სახლებიც მეტის-მეტად ძვირია. სიძვირეს ვინა სჩივის, ოღონდ რიგიანი სახლები იშოვებოდეს. სხვაფრივ აქეთკენ მშვიდობაა ჯერ-ჯერობით...

⁂ სოფ. ნატოჩაო (სამეგრელო): ამ სოფლის ნასწავლ ახალგაზდა ყმაწვილებმა ამ თთვის 14-ს ქართული წარმოდგენა გამართეს, რომლის შემოსავალი დანიშნული იყო სამუდამო სცენის მოსაწყობად. შემდეგში ამ სცენის მოყვარეებს განზრახვა აქვთ წარმოდგენები გამართონ და შემოსავალი-კი საქველ-მოქმედო საქმეს მოახმარონ. წარმოდგენაში სულ მონაწილეობას იღებდა ექვსი ყმაწვილი და ქალი. მოთამაშეებს თავიანთი როლები მშვენივრად ჰქონდათ შესწავლული და აზრიანადაც წარმოსთქვეს კიდეც. წარმოდგენას ხალხი ბევრი დაესწრო და დიდად ნასიამოვნებნიც დაიშალნენ ნაშუაღამევის სამს საათზედ.

⁂ დ. ძველი-სენაკი. მოგეხსენებათ, რომ ყოველ წელს მარიამობის თთვეში აქ იარმუკობა იციან. იარმუკობა იწყება პირველ რიცხვებში და გასტანს ხოლმე თითქმის ბოლომდე. წელს-კი ხოლერის გაჩენის ამბავმა აქაური იარმუკობა შეაფერხა და აქაური მოვაჭრეები თავ-ჩაღუნულნი და მოწყენილნი დადიან. ამათ დროს გასატარებლად დარჩენიათ მხოლოდ ბანქოს თამაში და ან მხარ-თეძოზედ წამოწოლა და ბუზების თვლა. აქაურებიც დიდს სამზადისში არიან, თუ ვინიცობაა ხოლერა ეწვიათ. ავადმყოფთათვის სახლი და ერთი ფერშალი უკვე მზადაა.

⁂ გაზ. „Нов, Вр.“-ს გაუგონია, რომ მალე იქმნება შემოღებული უსასყიდლო ვექილები გლეხებისათვის. ეს საქმე აქამდისაც უნდა გათავებულიყო, მაგრამ ხელს უშლიდა მის დამთავრებას უთანხმოება შინაგან და იუსტიციის სამინისტროს შორის. ეხლა ეს უთანხმოება უკვე აუცილებიათ თავიდგან და საქმე მალე დამთავრდება. ახალის კანონის ძალით, საგლეხო ვექილები ჩაირიცხებიან სახელმწიფო სამსახურში, ექმნებათ გადაწყვეტილი ჯამაგირი და უფასოდ უნდა იკისრონ გლეხების საქმის წარმოება სასამართლოებში, თუ დავის ფასი არ აღემატება 500 მ. თუ ფასი 500 მ. მეტი იქნება, მაშინ-კი სასყიდელი უნდა გადიხადოს მომჩივანმა ვექილის სასარგებლოდ. როცა ეს კანონი ძალაში შევა, მაშინვე აეკრძალებათ ასეთის საქმეების წარმოება კერძო ვექილებს.

⁂ გაზეთ „Каспій“-ში ვკითხულობთ შემდეგს ამბავს: 16 აგვისტოს ბალახანიდგან ბაქოში მოვიდა ნოქარი ხაჩატურ გრიქორიანცი, 37 წლისა, და სასტუმრო „იმპერიალში“ ჩამოხდა. გრიქორიანცის შემდეგ ამავე სასტუმროში მივიდა მემაშინის ცოლი ე. ბისტრიცკაია და იმავე ოთახში ჩამოხდა, რომელშიაც იყო ბ-ნი გრიქორიანცი. ასე სცხოვრობდნენ 23 აგვისტომდე. 23 აგვისტოს დილის 8 საათზედ სასტუმროში მივიდა ე. ბასტრიცკაიას ქმარი ბოქაულის თანაშემწითურთ და გრიქორიანცის ოთახის კარი დაარახუნა. ბ-ნმა გრიქორიანცმა კარი გამოაღო და რა ნახა, რომ მის წინ ბისტრიცკი იდგა, ბოდიში მოსთხოვა, ამ წამს ვერ მიგიღებ, რადგანაც ჯერ ტანთ-ჩაუცმელი ვარო, და კარი დაჰკეტა. ნახევარ საათის შემდეგ ოთახიდგან ორჯელ მოისმა რევოლვერის ხმა. შეამტვრიე'ს კარები და ნახეს იატაკზედ ეკატერინე ბისტრიცკაიას გვამი. საბრალოს ტყვია თავში ჰქონდა მოხვედრილი. იქავე იწვა მძიმედ დაჭრილი გრიქორიანცი, მოიყვანეს მკურნალები, მაგრამ გრიქორიანცს ველარა უშველეს-რა და $1^1/_2$ საათის შემდეგ გარდაიცვალა. ოთახში ორი ბარათი ჰნახეს. ერთი გრიქორიანცის დაწერილი, რომლითაც ის თავის ძმას აუწყებდა, ამა-და-ამ ფოტოგრაფთან არის ჩემი სურათი გადაღებულიო, და მეორე ბისტრიცკაიას მიერ დაწერილი, რომელშიაც ეწერა: „ჩემი სიკვდილი არავის დააბრალოთ. მე მირჩევნიან საყვარელ კაცთან ერთად მოვკვდე, ვიდრე ჩემ ქმართან ვიცხოვრო, რომელიც არ მიყვარს და რომელიც მძულსო“...

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი.)

**ბეჟათუბნის საზოგადოება** (შორაპნის მაზრა). გორის მაზრიდგან შორაპნის მაზრაში გადმოსასვლელ შარა და საცალ-ფეხო გზებზედ ქუთაისის საგუბერნიო მთავრობამ დანიშნა დარაჯებად შორაპნის მაზრის სხვა-და-სხვა სოფლის გლეხები, რომელთა მოვალეობაა არავინ გადმოუშვან თავიანთს მაზრაში გორის მაზრიდგან მომავალი, უკეთუ სამი დღე და სამი ღამე არ შეაჩერებენ მგზავრს სადარაჯო ადგილსა, რომ ამ გზით ხოლერა არ ეწვიოს შორაპნის მაზრას. სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთის გზის დარაჯები ვერ ასრულებენ თავისს მოვალეობას სინიდისიერად, მგზავრს რამდენსამე აბაზს, ანუ მანეთს ქრთამადართმევენ, ორ წამს შეაჩერებენ და ისე უშვებენ შორაპნის მაზრაში. მაგალითად ამ ორის დღის წინ ხარაგაულის ანუ „ნემსაძის“ მთაზედ მდგომს დარაჯებს, სოფლის მარელისის გლეხებს, ოთხი აბაზი ქრთამი გამოერთმიათ ჩრდილში მცხოვრების ლ. ფ—სთვის, რომელიც ქვიშხეთიდგან შინ მოდიოდა. 22 ივლისს ღამით მძინარე დარაჯებს გამოჰპაროდათ მთელი სახლობა სურამიდგან, სადაც, როგორც ვიცით, თავი იჩინა ხოლერამ. რამდენს გამოუშვებენ და რამდენი გამოეპარებათ ამის მსგავსად? სწორედ ასეთი უწესოება დარაჯებისა გახდება მიზეზად ბეჟათუბნის საზოგადოებაში ხოლერის გაჩენისა, თორემ თავის თავად ეს სენი აქ არ გაჩნდება სოფლების დასუფთავებისა და საზოგადოდ ჰაერის სიწმინდის გამო. იმედია, რომ ხარაგულის ბოქაული ალაგმავს დარაჯების ასეთს საქციელსა, თორემ თუ ბეჟათუბნის საზოგადოებაში, რომელიც ზედ აკრავს სურამს, ხოლერა გაჩნდა, უეჭველია, ეს სენი მთელს შორაპნის მაზრას მოედება, და მაშინ გვიანღა იქნება სინანული. ის ხომ ვიცით, რომ „თავს სინანული სჯობია, ბოლოს დროს დანანებასა“.

ბეჟათუბნის საზოგადოების გლეხები ძლიერ შეშინებულნი არიან ხოლერის მოახლოვებით. ათასი ცრუ-მორწმუნეობა არის გავრცელებული ხალხში ხოლერისა და იმის ექიმობის შესახებ. ბევრი გაიძახის: „ექიმები ხოლერით ავადმყოფებს საწამლავს აძლევენ და ძალათი ჰკლავენო. როგორ შეიძლება, როვ ჩემი ავადმყოფი ვისმეს დავანებოო“ და სხვა-და-სხვა. ნამეტნავ აჭირვებენ საქმეს სოფლის მეჭორე დედაკაცები, რომლებსაც სწორედ ახლა დაუდგათ დროს. იმერეთში თურმე ხმა გავრცელდა, ბეჟათუბნის სადგურზედ კაცებს ჰხრაკავენო! რამდენს რამეს არ ამბობენ სოფლად ხოლერის შესახებ, ვინ მოსთვლის; შეგნებულის კაცების პირდაპირი ზნეობითი მოვალეობაა, გაჰფანტოს უმეცარის ხალხის ცრუ აზრი ხოლერის შესახებ. ღმერთმა ნუ მოიყვანოს ბეჟათუბნის საზოგადოებაში ხოლერა, და, თუ მოვიდა, ექიმი და ფერშალი მზად არის, საავადმყოფოებიც დაკეთებულია, საფლავებიც გათხრილია და წყალ დაუსხმელი კირიც ბევრია; მხოლოდ წამლები ბლომად უნდა დაამზადონ.

20 ივლისს სოფ. ახალ-ხარაგაულში ერთი კაცი გახდა ავად ხოლერის მსგავსის ავადმყოფობით. ხალხი შეშინდა. ბ-ნნი ბოქაული, ფერშალი და მამასახლისი მსწრაფლ მივიდნენ ავადმყოფის სანახავად. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ავადმყოფისთვის ხილს ეწყინა და უბრალო ფაღარათობით იყო ავად. ხოლერის მოახლოვების გარდა ბეჟათუბნის ჩაზოგადოება შეაწუხა საშინელმა გვალვამ, თითქმის ერთის თთვის უწვიმრობამ. მკვიდრნი სიმინდის მოსავალს სრულიად არ მოელიან და უიმედოდ უცქერიან ბნელით მოცულს მომავალს. ხოლერას რომ ასცდნენ, შიმშილობას ვერ ასცდებიან. ამიტომ საჭიროა ახლავე იქმნას მიღებული ზომები, ვისგანაც ჯერ არს, რომ ხალხი არ დაიმშეს დ „სოფლის წურბელებს“, მოძმის გაჭირვებით გამდიდრების მოლოდინე ჩარჩებს არ ჩაუვარდეს ხელში. იმედია, ხარაგაულის ბოქაული თავისს ყურადღებას ამ გარემოებასაც წინდაწინვე მიაქცევს.

ერთი უსამართლობაც უნდა ვუჩვენოთ. ყოველივე ხარჯი დარაჯებისა, საავადმყოფოების დაკეთებისა და, როგორც ამბობენ, წამლებისაც, საწყალს გლეხებს დააწვათ კისერზედ. თავად-აზნაურობა, რომელიც ბჩავის ხალხის მეთაური უნდა იყოს ჭირსა და ლხინში, ჯერ-ჯერობით თავისუფალია ყოველ გვარის ხოლერის შესახების ხარჯისაგან. ნეტავი რისთვის?

ბზიკი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზეთი „Нов. Вр.“ აქცევს ყურადღებას იმ გარემოებას, რომ სოფლის მმართველობის მწერლებად ამ ჟამად სრულიად გაუნათლებელი კაცები არიანო და ძლიერ საჭიროა, რომ ამ გარემოებას ყურადღება მიექცესო. ამ აზრს გაზეთი ასე განმარტავს:

ვინ არ იცის, რა დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მწერალს გლეხთა ცხოვრებაში; სოფლის სასამართლოში, საერო კრებაზედ სოფლის მწერალი პირველი კაცია; მწერალი განმარტავს ხოლმე კანონსა, მწერალი სწერს ოქმსა, განაჩენს. მიუხედავად ამისა, სოფლის მწერლებად უმეტეს შემთხვევაში გაუნათლებელი და ზოგჯერ ზნეობა დაცე-

ჰლექი არის ავადმყოფობა ფილტვებისა. რა აჩენს ამ საშინელს სენსა? პაწია, თვალით უჩინარი მატლი-ჭია, რომელსაც თავი დიდი აქვს, ბოლო პატარა, ნამგალივით წელში მოკაკულია და მიემგზავსება შესასვენებელს ნიშანს — მძიმეს (запятая). ხოლერით შეპყრობილ ადამიანის განავალს ან ნარწყევს რომ ჩახედოთ მიკროსკოპით ანუ მინით, რომელიც დიდად აჩენს ყველა საგანსა, ათასობით დაინახავთ შიგ დასახელებულის სახის ჭიასა, რომელსაც შიგ ფუსფუსი გააქვს. ეს საზარელი მწერი საოცარი სისწრაფით მრავლდება ყოველს ბინძურობასა და ჭუჭყში, რადგანაც ჭუჭყი და უწმინდურობა მისთვის საჭმელიც არის და სასმელიც. ამიტომ თუ იგი შეაჯდა უსუფთაო ადამიანს ან ტანზედ, ან ტანისამოსზედ, სწრაფად გამრავლდება, პირიდგან ან ცხვირიდგან ჩაუძვრება მუცელში და ხოლერით გახდის ავად. აგრეთვე ნაგვიანსა და ჭუჭყიანს ოთახებსა და ეზოებში ძლიერ ჩქარა ბარტყობს და მცხოვრებლებს ედება.

წინააღმდეგ ამისა, სისუფთავე დიდი მტერია ამ ჭიისა. სისუფთავეში ის ვერა ხეირობს, უძლურდება და კვდება, რადგანაც ვერც სასმელს შოულობს და ვერც საჭმელსა. ვსთქვათ ეს ჭია შეაჯდა ადამიანსა, რომელსაც ტანი ფაქიზად აქვს შენახული და ტანისამოსიც სუფთა აცვია; მატლი მალე დასუსტდება, მოშორდება, ჩამოვარდება ძირსა, მოკვდება. აგრეთვე თუ ეს ჭია საიდგანმე გაჩნდა სუფთა სადგურში, ვერ იხეირებს და, არამც თუ ვერ იბარტყებს, კიდეც დაიხოცება. საზოგადოდ ეს ჭია როგორც ადვილად მრავლდება, როცა გარემოება ხელს უწყობს, ისე ადვილად იჟლიტება, რაკი შეუსაბამო მდგომარეობაში ვარდება.

აქედგან ცხადად სჩანს, რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს სისუფთავეს ტანისამოსისას, საცვლისას, ტანისას, ოთახებისას, ეზოებისას და მიდამოსი. ახალი და ახლო მაგალითით დავასაბუთებთ ჩვენს აზრსა. თითქმის ორი თვეა, რაც ტფილისში ხოლერა გაჩნდა. რომელს უბანში უფრო მეტი გახადა ავად და მოჰკლა? იმ უბანში, სადაც მეტი უწმინდურება და ჭუჭყი არის. მთაწმინდაში-კი, რომელიც შედარებით უფრო სუფთა ნაწილია, ორი-სამი ადამიანის მეტი ავად არავინ გამხდარა. მაგრამ ყველაზედ ხმა-მაღლა ღაღადებს სისუფთავის სასარგებლოდ სოლოლაკი. ეს უბანი ტფილისის ყველა უბანზედ ფაქიზია, შეძლებული და სისუფთავის მოყვარე ხალხი ასხია და რას ვხედავთ? ამოდენა ხნის განმავლობაში სოლოლაკში არავინ გამხდარა ხოლერით ავად. მხოლოდ უკანასკნელს დღეებში ხოლერა შეეყარა სოლოლაკელს მუშასა და ამასაც ეს სენი სოფელ წავკისიდგან ჩამოეტანა. განა ბრწყინვალე მაგალითია, ჭკუის მასწავლებელი და სწორე გზის მაჩვენებელი?!

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ხოლერას ჭია ასე თუ ისე კაცის კუჭში მოექცა. რა მოხდება? შეიძლება სრულიადაც არ გახდეს ავად, შეიძლება ავად გახდეს, მაგრამ მორჩეს და შეიძლება მოკვდეს. ეს სამ გვარი შედეგი დამოკიდებულია უმეტესად კუჭის მდგომარეობაზედ, მისს სისაღეზედ და ადამიანის ხასიათზედ: ალორებს იგი თავისს კუჭსა, თუ აქორებს.

თვითონ კუჭი კარგად არის შეიარაღებული ხოლერასთან საბრძოლველად. კუჭი განუწყვეტლივ ამზადებს ერთს გვარს სიმჟავესა, რომელსაც ასხამს ყველაფერს, რაც კი მასში მოექცევა, სუსხამს, ხარშავს, ინელებს. აი ეს კუჭის სიმჟავე საშინელი მტერია ხოლერისა. თუ კუჭში ბლომად არის ეს სიმჟავე და სალი თვისებისაა, მას მოუკვლელი არ გადარჩება ხოლერის ჭია, რადგანაც ეს ჭია ამ სიმჟავის ძალას ვერ უძლებს, სუსტდება, კვდება. წარმოვიდგინოთ, რომ მუცელში ჩაუძვრა ხოლერის ჭია იმისთანა ადამიანს, რომელსაც სრულიად სალი კუჭი აქვს. რა მოხდება? კუჭი მაშინვე გადაასხამს თავის მჟავე წვენსა, მოსუსხამს ჭიასა, მოჰკლავს, მოინელებს და საჭმელთან ერთად გაგზავნის ნაწლავებში. შეიძლება ამისთანა ადამიანმა ვერც-კი შეიტყოს ესა, მცირედი მუცლის ტკივილიც ვერ იგრძნოს. ამას ჩვენ თეორეთიული მოსაზრებით არ ვამბობთ... არა ერთს სალის კუჭის პატრონს დაულევია მთელი სტაქანი წყალი, სავსე ხოლერის ჭიებითა, არც წამალი და არც სხვა ღონისძიება არ უხმარნია, მაგრამ ავად არც-კი გამხდარა, და თუ გამხდარა, ადვილად მორჩენილა. ეს ნამდვილი ფაქტია, რომელსაც შეამოწმებს ყოველი მცოდნე ექიმი.

ხოლო შეიძლება სალის კუჭის პატრონიც გახდეს ავად ხოლერითა და მოკვდეს. რა შემთხვევაში მოხდება

მული კაცები არიან. აშკარაა, რომ ეს გარემოება ძლიერ ხელს უშლის სოფლის მმართველობის კეთილდღეობასა და სასამართლოს საქმეთა რიგიან წარმოებას. ადვილად-კი აიხსნება ეს მართლა და არა სასურველი გარემოება: როცა რუსეთში პირველად დაარსდა სოფლის მმართველობა და სოფლის სასამართლოები, მაშინ განათლებულს კაცს ვერ შეხვდებოდი არამც თუ სოფლად (იქ ეხლაც ძნელად შეხვდები), არამედ ქალაქებშიაც-კი. მას აქეთ ბევრი დრო გავიდა, ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ სოფლის მწერლებად-კი ისევ ის გაუნათლებელი და ზნეობა დაცემული კაცები არიან, რომელნიც, რასაკვირველია, კეთილს არ დააყრიან სოფელს.

დიაღ, ფრიად საყურადღებოა ეს საგანი და ფრიად სასურველია, რომ სოფლის მოხელეებად გონებითა და ზნეობით განვითარებული კაცები იყვნენ, რომელთაც სოფელი თავიანთ მუცლისთვის საწველელ ძროხად-კი არ მიაჩნდეთ, როგორც ეხლა ვხედავთ ხოლმე, არამედ იმ ასპარეზად რომელზედაც უნდა ებრძოდეს სიბოროტესა და არა ზოგავდეს თავისს ნიჭსა და ცოდნას სოფლის კეთილდღეობისა და განვითარებისთვის.

# რუსეთი

პეტერბურგში 19—20 აგვისტოს ავად გახდა 144, გარდ. 54, მორჩა 58; ქ. კრონშტადში 18 აგვისტოს ავად გახდა 2; მთელს გუბერნიაში 19 აგვისტოს ავად გახდა 71, გარდ. 19, მორჩა 30.

მოსკოვში 18 აგვისტოს ავად გახდა 29, გარდ. 11, მორჩა 8; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 7, გარდ. 2.

ვლადიმერის გუბერნიაში 18 აგვისტოს ავად გახდა 2.

ვიატკაში 18 აგვისტოს ავად გახდა 1, მორჩა 1.

კოსტრომაში 17 აგვისტოს ავად გახდა 1; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 12, გარდ. 3.

ლიუბლინში 18 აგვისტოს ავად გახდა 36, გარდ. 5, მორჩა 7; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 15, გარდ. 5, მორჩა 17.

პერმში 18 აგვისტოს ავად გახდა 2, გარდ. 1, მორჩა 1; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 111, გარდ. 32.

ტვერში 18 აგვისტოს ავად გახდა 6; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 1.

უფაში 18 აგვისტოს ავად გახდა 15, გარდ. 12; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 106, გარდ. 27.

ასტრახანში 18 აგვისტოს ავად გახდა 2, გარდ. 1; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 18, გარდ. 7.

ვორონეჟში 18 აგვისტოს ავად გახდა 2, გარდ. 2; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 582, გარდ. 524.

ეკატერინოსლავის გუბერნიაში 19 აგვისტოს ავად გახდა 84, გარდ. 42.

ყაზანში 18 აგვისტოს ავად გახდა 14, გარდ. 5; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 311, გარდ. 135.

კურსკში 18 აგვისტოს ავად გახდა 8, გარდ. 2; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 65, გარდ. 34.

ნიჟნი-ნოვგოროდში 19 აგვისტოს ავად გახდა 20, გარდ. 5; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 45, გარდ. 9.

ორენბურგში 18 აგვისტოს ავად გახდა 17, გარდ. 5.

ორლოვის გუბერნიაში 17 აგვისტოს ავად გახდა 34, გარდ. 7.

პენზაში 18 აგვისტოს ავად გახდა 32, გარდ. 8; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 82, გარდ. 36.

პოლტავას გუბერნიაში 17 — 18 აგვისტოს ავად გახდა 41, გარდ. 18.

რიაზანში 18 აგვისტოს ავად გახდა 2, გარდ. 1; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 82, გარდ. 35.

სამარაში 18 აგვისტოს ავად გახდა 18, გარდ. 3; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 547, გარდ. 256.

სარატოვში 18 აგვისტოს ავად გახდა 18, გარდ. 3; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 245, გარდ. 106.

სიმბირსკში 18 აგვისტოს ავად გახდა 6, გარდ. 1; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 160, გარდ. 76.

კერჩსა და ოპასნოიში 18 აგვისტოს ავად გახდა 8, გარდ. 2.

ტულას გუბერნიაში 10—15 აგვისტოს ავად გახდა 87, გარდ. 33.

ხარკოვის გუბერნიაში 18 აგვისტოს ავად გახდა 68, გარდ. 26.

ხერსონის გუბერნიაში 19 აგვისტოს ავად გახდა 18, გარდ. 3.

## გეოგრაფნი

ჩქარა 400 წელიწადი შესრულდება მას აქეთ, რაც ამერიკა აღმოაჩინა ქრისტეფორე კოლუმბმა და ამიტომაც ამ ცოტა ხანში ამერიკელნი დიდის ამბით აპირობენ გადაიხადონ 400 წლის იუბილეი ამერიკის აღმოჩენისა.

მოსალოდნელია, რომ ქრისტეფორე კოლუმბსაც ღირსეულად მოიხსენიებენ.

ქრისტეფორე კოლუმბი დაიბადა 1436 წ. გენუის მახლობლად. იმისი მამა ქარხანაში უბრალო მომუშავე იყო. პატარაობითვე ძლიერ შეუყვარდა ქრისტეფორეს გეოგრაფია და დიდის ყურადღებით ისმენდა ამბებს სხვა-და-სხვა ქვეყნის აღმოჩენისას. შეისწავლა რა რუკებზედ ყველა მაშინდელი ქვეყნები, კოლუმბი დაადგა იმ აზრს, რომ შეიძლება კაცი იტალიიდგან პირდაპირ ზღვით წავიდეს ინდოეთშიო. „დედამიწა ხომ მრგვალია, ჰფიქრობდა ის: ამიტომ თუ იტალიიდგან დასავლეთით წავედი, უთუოდ მივადგები ინდოეთს, მხოლოდ-კი აღმოსავლეთის მხრითაო“. მაგრამ კოლუმბი ღარიბი კაცი იყო და ამ აზრის შესრულება-კი თხოულობდა დიდს ფულს. მაინც ამას არ შეუშინდა კოლუმბი და დასდო აღთქმა, უეჭველად განეხორციელებინა თავისი აზრი. კოლუმბმა მიჰმართა მეფე იოანე II ამ თხოვნით. მეფემ მოსთხოვა რუკები და ისიც აახსნევინა, თუ როგორ ჰფიქრობდა კოლუმბი აღმოეჩინა გზა ინდოეთისკენ. ამის შემდეგ თავად მეფემ ჩუმად მოამზადა გემი და გაგზავნა, მაგრამ მეხუთე დღეს გემი უკანვე დაბრუნდა სირცხვილეული... კოლუმბი-კი ხან ვის მიჰმართავდა, ხან ვის, მაგრამ არავინ შეიწყნარა იგი. უკანასკნელად მთლად გაღატაკდა კოლუმბი, მათხოვრობითღა სცხოვრობდა. ეს არ აკმარა ბედმა, ამავე დროს მოუკვდა ცოლი და დარჩა ობლად ერთი შვილი, რომელსაც რჩენა და მოვლა ეჭირვებოდა. უკანასკნელად მიმართა ქრისტეფორემ დედოფალს იზაბელას. დედოფალმა მისცა საშუალება კოლუმბს. აი ეხლა გაემგზავრა კოლუმბი და დიდის ხნის მოგზაურობის შემდეგ მიაღწია იმას, რის მიღწევაც თავადაც არა ჰქონია აზრად—იპოვნა მთელი ქვეყანა ამერიკა. ამ დროს კოლუმბი 56 წლისა იყო, მაგრამ იგი არა სცხრებოდა. სამჯერ კიდევ წავიდა ამერიკაში, მარტო იმიტომ, რომ გაეძღო თვალ-ხარბი მბძანებლები, რომელნიც სულ ოქროსა სთხოვდნენ. კოლუმბს მოჰქონდა ოქრო, მაგრამ პირველად იმდენს ვერ მოიტანდა, რამდენსაც იმასა სთხოვდნენ.

ისპანიელებს არ ესიამოვნებოდათ ეს, ამას გარდა შესწამეს, ვითომ კოლუმბს თავის აღმოჩენილს ქვეყანაში მეფობა უნდაო. დაუწყეს დევნა კოლუმბს და დააბოლოვეს იმითი, რომ ის თავისის ორის ძმით ფეხებში ბორკილ-შეყრილნი მოიყვანეს ისპანიაში. როდესაც იზაბელამ უბძანა, ბორკილი შეეხსნათ, კოლუმბმა სთხოვა: მე დამრჩეს ეს ჩემის ღვაწლის სახსოვრადაო. ამის შემდეგ დიდხანს არ უცოცხლია კოლუმბს. იგი მოკვდა 1506 წ. ღატაკად. ღატაკი იყო ის კაცი, რომელმაც ისეთი განძი მოუპოვა კაცობრიობას, როგორიც არის ამერიკა. ამერიკაში ჯერ თუნდა 70 მ. ხალხი გადასახლებულა მარტო ევროპიდგან და იქ იკვებება. ამერიკამ გააძლიერა მსოფლიო აღებ-მიცემობა და მრეწველობა და იმისი აღმომჩენი-კი მოკვდა სიღარიბით.

—

არც ფერდინანდე კორტეცს დააყარეს კეთილი ისპანიელებმა. რამოდენა სამსახური გაუწია ისპანიას მექსიკის დამპყრობელმა, მაგრამ იმასაც დაუწყეს ეჭვის თვალით ცქერა და დევნა. ბოლოს სამსჯავროს წინაშეც წააყენეს, თითქო ვინმე ავაზაკიაო და ან სამშობლოს გამყიდველიო. ვოლტერი ამბობს, რომ კორტეცმა უფრო ბევრი ქვეყანა დაუპყრო ისპანიას, ვიდრე მეფის წინაპრებმა—ქალაქებიო.

—

ამერიკის აღმოჩენის შემდეგ პირველად პორტუგალიელმა ფერდინანდ მაგელანმა შემოუარა ჩვენს დედამიწას გარშემო. მაგელანმა საგანი მოგზაურობისა კარგად შეასრულა, მაგრამ თავიც-კი ზედ დასდო; ის მოჰკლეს ინდოელებმა.

—

აგრეთვე დასდეს თავი ჰენრი გუდრონმა და ჯონ ფრანკლინმა. ჯონ ფრანკლინი ჩრდილოეთის ოკეანემ ჩთანთქა. ბევრი გამოჩენილი მოგზაური წავიდა ფრანკლინის საპოვნელად, მაგრამ ამაოდ, იგი ვერ იპოვნეს და თავადაც იქ დაიღუპნენ.

მეტადრე ამათში შესანიშნავნი არიან ფრანგი მოგზაურნი: ემილ დებრეი და რენე ბელო. რენე ბელო უბრალო მჭედლის შვილია, დაიბადა 1826 წ., გაათავა ზღვაოსნობის სკოლა 20 წლისამ და მიიღო „ორდენი საპატიო ლეგიონისა“. ფრანკლინის ძებნის დროს ჩრდილოეთის ოკეანეში ერთმა უშველებელმა ყინულის მთამ გაიტაცა რენე ბელო და შთანთქა იგი.

მართალია, გეოგრაფიამ ამოდენა მსწავლული ხალხი ინაცვალა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი დარჩენილიყო აღმოსაჩენი და გამოსარკვევი. აფრიკა აღმოჩენილი იყო, მაგრამ ძველ ეგვიპტის ქვეით არ იცოდნენ, რა იყო. პირველად შუაგულს აფრიკისას მიაღწია რენე კალიემ. რენე კალიე დაიბადა 1799 წ. იმისი მამა ერთი საწყალი მეპურე იყო. პატარაობისას წაეკითხნა რენეს „რობინზონ კრუზე“ და ისე უნდოდა მოგზაურობა და სხვა-და-სხვა ქვეყნის ნახვა, რომ შინ ვერა დგებოდა. არ დახედა იმას, რომ ერთი ფარაც არ ედო ჯიბეში, წავიდა ფეხით აფრიკაში, მიაღწია შუაგულს აფრიკისას და აღმოაჩინა ტიმბუქტა. როდესაც საფრანგეთში დაბრუნდა, დიდის პატივითა და თანაგრძნობით მიეგებნენ თანამემამულენი უშიშარს მოგზაურს, მაგრამ აფრიკიდგან გამოყოლილმა ავადმყოფობამ 39 წ. რენე გამოასალმა წუთი-სოფელს.

ზ. ფრონელი

## წერილი რედაქციის მიმართ.

ნება მიბოძეთ ჩემი უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო ქ-ნს კესარია ტატიშვილისას, რომლის მოთავეობით 16 აგვისტოს გამართულ იქმნა დ. ხონში სალიტერატურო-სამუსიკო საღამო ჩემს სასარგებლოდ. მადლობას ვუძღვნი აგრეთვე იმათაც, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ამ საღამოს გამართვაში: ა. ნ. ვესელოვზოროვისას, ნ. ნ. ვესელოვზოროვისას, ნ. ი. სუსლოვისას, კნიაჟ. ა. ნიჟარაძისას, კნ. ელ. ნიჟარაძისას და ქ-ნს ზვერიოვისას; ბ-ნთ: პ. ი. სმირნოვს, ი. ქ. პეტროვს, სტუდენტს ვესელოვზოროვს, პ. ი. ჩხიკვიშვილს, ა. პ. სუსლოვს, კ. ქუთათელაძეს. დასასრულ მადლობას ვუძღვნი ი. შარაშიძეს, რომელმაც უსასყიდლოდ

---

ესა? მაშინ, როდესაც ეს ადამიანი თავის კუჭს აღორებს, ჭამაში და სმაში ზომა არ იცის, ეტანება ძნელად მოსანელებელს საჭმელსა. კუჭი, დატვირთული ბევრი საჭმლით, ან მომეტებული სასმლით, მეტადრე ძნელად მოსანელებელი რამით, მთელს თავისს სიმჟავეს ანდომებს მათ მოხარშვასა, მონელებასა და თავისუფალი სიმჟავე სრულიად აღარა რჩება. თუ ამ დროს მასში მოექცა ხოლერის ჭია, კუჭი უიარაღო დახვდება, თავისს სიმჟავეს მას ველარ გადაასხამს, ველარ შეებრძოლება და მინამ კუჭი ახალს სიმჟავეს მოამზადებს, ხოლერის ჭია საოცარის სისწრაფით გამრავლდება კუჭში, უწევს ნაწლავებში, გაძლიერდება და შეიძლება მოჰკლას. კიდეც ამიტომ ხდება ისა, რომ საცა-კი ხოლერა გაჩენილა, სულ მუსრი გაუვლია ღორმუცელა და ლოთი ადამიანებისთვის. ეს გარემოება დღესავით ცხადად ჰხდის, თუ რა საჭიროებას შეადგენს ზომიერი ჭამა-სმა ხოლერის დროსა და მორიდება ძნელად მოსანელებელი საჭმელ-სასმელისა. ხოლერობის დროს ყოველი ადამიანი, მეტადრე ისინი, რომელთაც სუსტი კუჭი აქვთ, უნდა გაძღომას ერიდოს, ისე სჭამონ და სვან, რომ კიდევ უნდოდეთ ჭამა და სმა; ამ შემთხვევაში კუჭი თავისს სიმჟავეს მთლად არა ხარჯავს სასმელ-საჭმელზედ. მას კიდევ რჩება თავისუფალი ნაწილი სიმჟავისა, რომელსაც დაუყოვნებლივ მოიხმარს ხოლერის ჭიის მოსაკლავად, თუ იგი ჩაუძვრა ადამიანს, ან ჩაჰყვა გვამში. კუჭი, ზომიერად შენახული, ჰგავს შეიარაღებულს მეომარსა, კუჭი-კი დატვირთული სასმელ-საჭმლით, მოგაგონებს იარაღს-დაყრილს ჯარის-კაცსა. რა დიდი მნიშვნელობა აქვს ზომიერ ჭამა-სმას, ცხადად ჰხდის ის მოვლენა, რომ დაბალი ხალხი, რომელსაც უყვარს ჰდეს გადასვლა ჭამაში და მეტადრე სმაში, ერთი ათად მეტი კვდება ხოლერისაგან, ვიდრე განათლებული ნაწილი საზოგადოებისა, რომელიც მიჩვეულია ზომიერებასა, მიუხედველად იმისა, რომ კუჭის სისაღით და საზოგადოდ ჯანმრთელობით მდაბიო ხალხი ბევრით სჯობია განათლებულებსა.

რასაკვირველია, ყველას ისა სჯობიან, რომ კუჭში კაცმა არ ჩაუშვას ხოლერის ჭია. როგორ და რა გზით? სისუფთავის მნიშვნელობა უკვე აღვნიშნეთ. ახლა დავასახელებთ სხვა ღონისძიებათ. ხოლერის ჭია ჰაერში არ ადის, ამიტომ ხოლერა კაცს ჰაერით არა ხვდება, არ ეყრება. თქვენ შეგიძლიანთ ხოლერით ავადმყოფთან ერთად იყვნეთ, დიდხანს ერთი ჰაერით სუნთქავდეთ, მაგრამ ხოლერა-კი სრულიად არ შეგეყაროთ. საშიშია ხოლერიანის ნარწყევი და განავალი, აგრეთვე მისი ლოგინი, ტანისამოსი; აქედგან შეიძლება ხოლერის ჭია შემოგაჯდეთ და კუჭში მოგექცეთ პირის, ანუ ცხვირის შუამავლობით. აი ამას უნდა უფრთხილდეს კაცი.

უფრო მომეტებული სიფრთხილე ჰმართებს კაცსა საჭმელსა და სასმელში. ხოლერის ჭია უმეტესად საჭმელს და სასმელს ჩასდევს მუცელში. რა ღონისძიება უნდა ვიხმაროთ აქა? ერთი უებარი ღონისძიება არსებობს: ხოლერის ჭია დიდს სიცხეს ვერ აიტანს და ადუღებულს რამეში, აგრეთვე მოხარშულსა და შემწვარში კვდება. მაშასადამე, თუ ჩვენ არც უმს საჭმელს ვიხმარებთ და არც უმს სასმელს, ხოლერას ადვილად გადავრჩებით. მეტადრე მავნებელია მდინარე წყლის უმად ხმარება. ამისთანა წყალში ბევრია ხოლერის ჭია, რადგანაც მასში ხშირად აქცევენ ნარწყევსა და განავალსა, რეცხვენ ხოლერიანს ლოგინსა, საცვალსა და ტანისამოსსა... წყაროს წყალი სჯობიან მდინარე წყალსა, მაგრამ უმი მძიმეა მუცლისათვის და სრულიად სანდოც არ არის, რადგანაც მასშიაც შეიძლება მოექცეს ხოლერის ჭია. ამიტომ წყაროს წყალსაც ადუღება ეჭირვება. ადუღებული და გაცივებული წყაროს წყალი გემრიელიც არის, მსუბუქიც და მარგებელიც. სადაც წყარო არ იშოვება, იქ მდინარის წყალი მიუცილებლად უნდა ადუღონ და ისე იხმარონ, თორემ ხოლერის გაძლიერება აუცილებელი შეიქმნება. ხოლო ადვილად შეიძლება მოხდეს, რომ ადუღებულს სასმელში შემდეგ მოჰყვეს ხოლერის ჭია, აგრეთვე მოხარშულსა და მოხრაკულს საჭმელში. რომ ეს ავიცილოთ, სასმელი და საჭმელი თავმოკრული, დაფარებული უნდა შევინახოთ ყოველთვის. მეტადრე კაცი უნდა ერიდოს უმს ხილეულობასა, რადგანაც გრილი და მძიმე არის კუჭისათვის ð ხოლერის ჭიაც ეტანება, მოხარშული ხილი-კი არამც თუ უვნებელია, სასარგებლოც არის სტომაქისათვის..........

ი. სვიმონიძე

(დასასრული ხვალ)

გვათხოვა სახლი და ყველა იმათ, რომელთაც ასე თუ ისე შემწეობა აღმოუჩინეს ამ საღამოს გამართვას. ამ საღამოდგან შემოსავალი თორმეტი თუმანი უკვე მივიღე.

სტუდენტი პ. ჩხენკელი

# დეპეშა

27 აგვისტო.

**ვენა.** „Frendenblatt“ ამბობს: პამირის ბექოში მეტად პატარა ლუკმაა და ეს ადგილი უთანხმოებას ვერ ჩამოაგდებს სამს უძლიერესს სახელმწიფოს შორისო.

**პარიჟი.** სენის დეპარტამენტის სასამართლომ 20 წლის კატორგაში გაგზავნა გადაუწყვიტა ზღვათა სამინისტროს მოხელეს გრეინერს, რომელსაც საბუთის ქაღალდები შეერთებულ შტატების სამხედრო აგენტისათვის მიეყიდნა.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტო“ იუწყება, რომ ბრიტანიის მთავრობის მხრივ არავითარი განკარგულება არ არის გაცემული ქაირიდგან ქვეითა ჯარის გახმობის შესახებ და არც მოსალოდნელია, რომ ბრიტანიის პოლიტიკაში ეგვიპტის გამო ცვლილება რამ მომხდარიყოს და ან რომ კაბინეტის ყურადღება მიექციოს თავისზედ ეგვიპტის ჯარებისაგან განთავისუფლების საქმესაო.

**ნიუ-იორკი.** რვა კაცი გახდა ხოლერით ავად და ერთი უკვე გარდაიცვალა.

**შანჰაი.** დეპეშით ცნობა მოვიდა სინგანადგან 6 სექტემბერს, რომ შენსიში დაასახიჩრეს ერთი რუსეთის მისიონერი და რამდენიმე ადგილობრივი ქრისტიანიო.

**პარიჟი.** გუშინ საღამოს ბირჟის სადგომში აფეთქება მოხდა; Colonnes ქუჩის ტროტუარზედ იპოვნეს თითბრის მილის, სიგრძით 15 სანტიმეტრისა, რკინის მავთულით შემოხვეული; ამ მილს შემდეგ გამოიკვლევენ. უბედურება არა მომხდარა-რა.

პეტერბურგის ბირჟა, 21 აგვისტო.

| | მყიდველობა. | გამყიდველობა. | გაყიდულობა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — ,, | — ,, | 7,88 |
| ტამოჟნის კუპონები . | — ,, | — ,, | 157,62 |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,08 | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 236 1/4 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 221 1/4 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მოგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 193 1/4 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

## გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისსმიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

**ბათუმიდამ გადის:**

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

**ბათუმში მოდის:**

ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ, დ ი ლით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კ ვ ი რ ა ო ბ ი თ დილით, სტამბოლიდგან.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. ს ა ხ ა ლ ხ ო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, გაადისაითს.

**ფოთიდგ გადის:ან**

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით-დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობთი-საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

# განცხადებანი

15 სექტემბრიდამ ამა წლისა იქმნებიან წინამძღვრიანთ-კარის სასოფლო სამეურნეო სკოლაში მიიღებიან ჯან-მრთელი ყმაწვილები, არა ნაკლებ ათის წლისა, ყველა წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

ვისაც სურვილი აქვს სკოლაში ყმაწვილი მიაბაროს, იმან უნდა პირად, ანუ წერილით განუცხადოს თავისი სურვილი სკოლის მზრუნველს ილია ივანეს ძეს წინამძღვრიშვილს (მომრიგებელი მოსამართლეა ქალაქ თბილისში), წარმოადგინოს ყმაწვილის წლოვანების მოწმობა, სინოდის კანტორიდგან მიღებული, ან მღვდლისაგან მიცემული აღმოწერილობა წლოვანების წიგნიდგან, და იმ სკოლის მოწმობა, სადაც ბავშვს უწინ უსწავლია. გამოცდა ყმაწვილებისა მოსამზადებელ კლასის პირველ განყოფილებაში არ იქნება, მხოლოდ ვინც მოსამზადებელ კლასის დანარჩენს განყოფილებაში შესვლას მოინდომებს, იმას უნდა ჰქონდეს შესაფერი მომზადება და სწავლა.

სასწავლო სკოლის კურსს შეადგენს: 1) საღმრთო წერილი, 2) ქართული და რუსული ენები, 3) არითმეტიკა და პრაქტიკული გეომეტრია, 4) სამშობლოს შესწავლა, მოკლე გეოგრაფია რუსეთისა და ევროპის სახელმწიფოებისა და საზოგადო მიმოხილვა ქვეყნებისა, 5) ბუნების მეცნიერება, 6) სამეურნეო საგნები: მიწის შემუშავება, მებაღობა, მებოსტნობა, ვაზის მოვლა-მოშენება, ღვინის დაყენება, საქონლისა და აბრეშუმის ჭიის მოვლა-მოშენება, მეფუტკრობა და სასოფლო-მეურნეობის ანგარიშის ცოდნა, 7) ხატვა, 8) საეკკლესიო და საერო გალობა, 9) სწავლა ხელოსნობისა: დურგლობისა, მჭედლობისა და წიგნების კაზმისა.

სკოლაში ყმაწვილები უსასყიდლოდ მიიღებენ სწავლას და ყველა სასწავლო ნივთებს, მხოლოდ დედ-მამამ, ანუ იმათმა მოადგილემ უნდა ყმაწვილს სოფელში ბინა უშოვოს, ჩააცვას და დახუროს.

სკოლაში მიიღებიან ისეთი მოზრდილი ყმაწვილებიც, რომელთაც სწავლა სხვა სასწავლებელში გაუთავებიათ და სურვილი აქვთ სასოფლო მეურნეობა შეისწავლონ და ფერმაში ივარჯიშონ.

შორის მხრიდგან მოყვანილ ყმაწვილებისთვის სოფ. წინამძღვრიანთ-კარში გამართულია სკოლის ხარჯით 30 შეგირდისათვის სადგური. ყველა საქმეს ამ სადგურისას თვით სკოლის პედაგოგიური კრება განაგებს. თითო შეგირდის შესანახავად დანიშნულია ჯერ-ჯერობით თთვეში შვიდი მანათი. ყმაწვილს დილა-საღამოს მიეცემა სტაქანი ჩაი, ანუ რძე პურით, შუადღისას საუზმე და სწავლის შემდეგ სადილი, თითო კერძი: ხსნილში სახსნილო და მარხვაში სამარხვო. კვირაში ერთხელ საცვალი გამოეცვლებათ.

ვისაც ჰსურს მიაბაროს ყმაწვილი სკოლის სადგურში, იმან უნდა წარმოადგინოს: ნახევარის წლის შესანახი ფული 42 მანათი პირველ სექტემბერს და მეორე ნაწილი, 42 მანათი, პირველ იანვრამდე. ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, მაშინ შეგირდი დათხოვნილ იქმნება სადგურიდგან და გაიგზავნება თავის მშობლებთან. ამისთვის მშობლებმა, მანამ შვილს მიაბარებენ სასწავლებელში, წინადვე სკოლაში უნდა შემოიტანონ ყმაწვილის გასაგზავნად ერთი თუმანი.

ყმაწვილს უნდა ჰქონდეს რკინის საწოლი, ქვეშაგები, სამი ხელი საცვალი და სამი ხელი სკოლისათვის დაწესებული ტანისამოსი. ერთი საზამთრო და ორი საზაფხულო. უკეთუ ყმაწვილი სადგურიდგან მეორედ ფულის შემოტანის ვადამდე გავა, იმას შემოტანილი ფული უკან არ დაუბრუნდება და დარჩება სადგურს სასარგებლოდ.

შეგირდები, ხოლერის გამო დათხოვნილნი, უნდა გამოცხადნენ სკოლაში არა ადრე 14 სექტემბრისა, კარგად ჩაცმულ-დახურულნი, თან წამოიღონ საკმარისი ტანთსაცმელი და ზეწრები.

31 აგვისტოს ამა 1892 წ. დანიშნულია **საჯარო მღვიმის დედათა მონასტრის კუთვნილ ადგილის იჯარით გაასცემად** სახელდობრ „ჭერეხისა“ რომელიც მდებარეობს სოფ. ჭიათურაში. ვაჭრობა დაიწყება ზემოდ აღნიშნულ რიცხვს შუა დღის თორმეტს საათზედ, დაწვრილებით პირობათა შეტყობა შეიძლება ბლაღოჩინის მღვდელის აბესალომ ჩაჩანიძის კანცელარიაში, ყოველ დღე. (3—2)

# თამბაქოს ფაბრიკა

## ნიკოლოოზ ივანეს ძის ბოზარჯიანცისა

**ტფილისში**

არსებობს 1858 წლიდგან.

მივაქცევ პატივცემულ საზოგადოების ყურადღებას ჩემს ფაბრიკაში საფრანგეთის საუკეთესო ქაღალდით მომზადებულს დაუწებებელს პაპიროსს, რომელიც კეთდება განსაკუთრებულის მაშინებით, ძალიან რიგიანადა და სუფთად. ამ გვარად მომზადებულს პაპიროს, ბ-ნთ მომხმარებლებს სახამებლის არა-სასიამოვნო გემოს აცილებს თავიდგან.

ახალად მივიღეთ დიდ-ძალი საუკეთესო ოსმალეთის სურნელოვანი თამბაქო, რომელსაც პაპიროსადაც ვაკეთებთ, თამბაქოდაც ვყიდით ყოველ შემომკვეთლის გემოვნების, დიდად ზომიერ ფასად.

შემომკვეთლებს შეუძლიანთ მიჰმართონ სასახლის ქუჩაზედ, № 1.

(10—1)

წიგნის გამომცემელ ამხანაგობის მაღაზიაში ისყიდება

ახალი წიგნი

ვახუშტი ბატონიშვილი

# საქართველოს

## გეოგრაფია

1 წიგნი

# სამცხე

ვახუშტის საზოგადო „შესავალი“-თურთ.

გამოცემა

მოსე ჯანაშვილისა

ფასი 25 კაპ.

**გამოვიდა და ისყიდება**

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“ და „წიგნების გამომცემელ ამხანაგობის“ მაღაზიაში ახალი წიგნი;

# ზადიგი

მოთხრობა ვოლტერისა

გადმოთარგმნილი ა. ახნაზაროვისმიერ

ფასი 20 კაპ.

იქავე ისყიდება ა. ახნაზაროვის მიერვე გადმოთარგმნილი ოთხ-მოქმედებიანი დრამა თ. ა. სუმბათაშვილისა „ბორკილი“ და ჰღირს 40 კაპ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

# „ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | თთვით. | 10 მ.—კ. | 6 | თთვით | 6 მ.—კ. |
| 11 | ,, | 9 ,, 50,, | 5 | ,, | 5 ,, 50,, |
| 10 | ,, | 8 ,, 75,, | 4 | ,, | 4 ,, 75,, |
| 9 | ,, | 8 ,, —,, | 3 | ,, | 3 ,, 50,, |
| 8 | ,, | 7 ,, 25,, | 2 | ,, | 2 ,, 75,, |
| 7 | ,, | 6 ,, 50,, | 1 | ,, | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვარობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დაასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცი არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე-და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21.